

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №22, 18.05.2005, მუხ. 151) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ქ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ) ელექტრონული ტენდერი – საქონლის ან მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში – 10 000 ლარის ან 10 000 ლარზე მეტი ღირებულების ერთგვაროვანი საქონლის ან მომსახურების, ხოლო სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში – 20 000 ლარის ან 20 000 ლარზე მეტი ღირებულების ერთგვაროვანი სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის საშუალება (გარდა ამ პუნქტის „ს¹“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევისა), რომელიც მოიცავს ელექტრონული ტენდერისთვის ამ კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილ პროცედურებს;“;

ბ) „ს¹“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ს¹) გამარტივებული შესყიდვა – სახელმწიფო შესყიდვის საშუალება, რომელიც გამოიყენება ამ კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ან საქონლის ან მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში – 10 000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი საქონლის ან მომსახურების, ხოლო სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში – 20 000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი სამუშაოს (საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების მიერ 50 000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს შესყიდვის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციის ან სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ თავდაცვასთან, უშიშროებასთან ან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული შესყიდვის განხორციელების შემთხვევაში – 20 000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს) სახელმწიფო შესყიდვის შემთხვევაში;“.

მუხლი 2. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ უზრუნველყოს შესაბამის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში სათანადო ცვლილებების განხორციელება, აგრეთვე სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ამ კანონთან შესაბამისობა ამ კანონის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 15 დღისა.

მუხლი 3

- ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
- ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,

23 მარტი 2023 წ.

N2664-XIმს-Xმპ

